ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

საკრედიტო ბარათის ხელშეკრულება N ApplicationsDataTable.AGREEMENT_NO --/--2024

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი

▪ კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული
▪ კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი
  ▪ 0% კრედიტის საანგარიშო თვის ბოლო დღემდე დაფარვის შემთხვევაში
  ▪ 36% კრედიტის ვადის ბოლოს დაფარვის შემთხვევაში
▪ კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი
  ▪ --% კრედიტის საშეღავათო პერიოდში დაფარვის შემთხვევაში
  ▪ --% კრედიტის ვადის ბოლოს დაფარვის შემთხვევაში

ფინანსური ხარჯები

▪ მისოს სალაროში განაღდების საკომისიო: 1 %
▪ თანხის ბანკომატში განაღდების საკომისიო: 2%
▪ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში უნაღდო ანგარიშსწორების საკომისიო: 0%
▪ საკრედიტო ბარათის დამზადების ღირებულება: 10 ლარი
▪ საკრედიტო ბარათის გაცემის საკომისიო: ლიმიტის 2%
▪ ყოველთვიური შენატანები (განისაზღვრება ათვისებული თანხისა და დაფარვის ვადების შესაბამისად)

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

▪ საკრედიტო ბარათის ლიმიტი: 2,000.00 ლარი (ორი ათასი ლარი და 00 თეთრი)
▪ მსესხებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა ბანკომატიდან თანხის ათვისების შემთხვევაში:
▪ მსესხებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა სავაჭრო ობიექტიდან თანხის ათვისების შემთხვევაში:
▪ კრედიტის ვადა: 3 წელი
▪ საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 3 წელი
▪ საკრედიტო ლიმიტის ვადაზე ადრე დაფარვის საკომისიო: 0%
▪ ვადაგადაცილების ჯარიმა: ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილების მომენტისათვის ნარჩენი ძირი თანხის (ბარათიდან ათვისებული საკრედიტო ლიმიტის) **0.27%,** ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5- მაგ ოდენობას.
▪ მინიმალური შენატანის გადახდის თარიღი: დაანგარიშების თარიღის მომდევნო თვის 25 რიცხვის ჩათვლით

▪ დასაშვებია ხელშეკრულების პირობების ცვლილება გამსესხებლის მიერ ცალმხრივად გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის (ასევე არსებობის შემთხვევაში თავდებისათვის ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრისათვის) მინიმუმ 2 თვით ადრე წინასწარი შეტყობინების გზით, რომელიც უნდა განხორციელდეს მსესხებლისათვის უფასოდ, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის ან/და ამავე ხელშეკრულებაში მითითებულ ელ.ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნის

გზით. მსესხებელი უფლებამოსილია შეტყობინების მიღებიდან ორი თვის ვადაში სრულად დაფაროს სესხი (ძირითადი თანხა, დარიცხული პროცენტი და პირგასამტეხლო), რა შემთხვევაშიც მას არ დაერიცხება სესხის წინსწრებით დაფარვის საკომისიო. თუ მსესხებელი არ გამოიყენებს აღნიშნულ უფლებამოსილებას, ამ პუნქტის შესაბამისად შეცვლილი პირობები ამოქმედდება მსესხებლისათვის ზემოაღნიშნული შეტყობინების გაგზავნიდან ორი თვის გასვლის შემდგომ.

▪ ცალმხრივი ცვლილებები არ შეიძლება შეეხოს პროდუქტის ვალუტას, არ შეიძლება იყოს განპირობებული მისოს მიერ მსესხებლის გადახდისუნარიანობის არასწორი შეფასებით (როდესაც აღნიშნულის მიზეზი არ არის მსესხებლის მიერ განზრახ არასწორი და არასრული მონაცემების მიწოდება) და ასევე არ უნდა იყოს გამოწვეული ინფლაციის ზრდით, ეკონომიკური ვარდნით და/ან საბაზრო საპროცენტო განაკვეთების 5 პროცენტულ პუნქტზე ნაკლები ცვლილებით.

▪ მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მთითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების პრაქტიკული ინსტრუქციები განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების 8.6. – 8.10. პუნქტების შესაბამისად.

▪ ყოველთვიურ უფასო ამონაწერს მიიღებთ წერილობით/ელექტრონული ფოსტით.

▪ მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ ნებისმიერ სერვის ცენტრში, როგორც ზეპირი, ასევე თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით ვებ-გვერდზე http://www.mbc.com.ge/ და ელ.ფოსტაზე complaint@mbc.com.ge.

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – http://nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.

საკრედიტო ბარათის ხელშეკრულება N --

ქ. თბილისი **---/---/2024**

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები:

1.1. გამსესხებელი	სახელწოდება:	**სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ (შემდგომში მისო)**
	იურიდიული მისამართი:	**ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი, N68, სართული N1, საოფისე ფართი N2**
	წარმომადგენელი:	**AUTHORITY_ATTORNEY_USER, UserAttribute_mindobiloba**
	ტელეფონი:	**032 2-50-50-02**
	ელ.ფოსტა:	**info@mbc.com.ge**
	საიდენტიფიკაციო კოდი:	**404967078**
	საზედამხედველო ორგანოს დასახელება და მისამართი:	**საქართველოს ეროვნული ბანკი 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა №2**
	ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის ნომერი:	**740413**
	საკრედიტო შუამავალი:	

1.2. მსესხებელი	სახელი,გვარი:	**Borrower Full Name**
	დაბადების თარიღი:	
	ფაქტიური მისამართი:	**Borrower Address Fact**
	იურიდიული მისამართი:	**Borrower Address Legal**
	პასპ/პირად.მოწმობის N:	**Borrower Document.PASSPORT_NO**
	პირადი ნომერი:	**Borrower Document.PERSONAL_ID**
	ტელეფონი:	**Borrower Phone**
	ელ. ფოსტა:	**Borrower EMail**

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მისო მსესხებელზე გასცემს სესხს (საკრედიტო ბარათს), ხოლო მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას, ვადის ბოლოს დაუბრუნოს მისოს მიღებული კრედიტი, გადაიხადოს დარიცხული საპროცენტო სარგებელი და შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

2.2. წინამდებარე საკრედიტო ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეთა შორის დადებულ. N გენერალური ხელშეკრულების შემადგენელ ხელშეკრულებას, მის დანართსა და განუყოფელ ნაწილს, იდება მის ფარგლებში და უზრუნველყოფილია ყველა იმ იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის ან/და ვალდებულებათა (მოთხოვნების) უზრუნმველყოფი სხვა ხელშეკრულებებით, რომლებიც დადებულია ან მომავალში დაიდება ხსენებული გენერალური ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 3. საკრედიტო ბარათის პირობები

3.1. საკრედიტო (ბარათის) ლიმიტი/სესხის მოცულობა:	**2 000.00 (ორი ათასი ქართული ლარი და ნული თეთრ**
3.2. სესხის ტიპი:	საკრედიტო ბარათი
3.3. დაანგარიშების თარიღი:	**ყოველი თვის ბოლო კალენდარული დღე**
3.4. საკრედიტო ლიმიტის/სესხის ვადა:	**3 წელი**
3.5. საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა:	**3 წელი**
3.6. საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	ფიქსირებული
3.7. წლიური საპროცენტო განაკვეთი:	0% კრედიტის საანგარიშო თვის ბოლო დღემდე დაფარვის შემთხვევაში 36% კრედიტის ვადის ბოლოს დაფარვის შემთხვევაში

3.8. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	--% კრედიტის საშეღავათო პერიოდში დაფარვის შემთხვევაში --% კრედიტის ვადის ბოლოს დაფარვის შემთხვევაში
3.9. საკრედიტო ლიმიტის/სესხის წინსწრებით დაფარვის საკომისიო:	**0.00 %**
3.10. ასათვისებელი ლიმიტიდან ასათვისებელი/გასატანი სესხის თანხის ოდენობა:	საკრედიტო ლიმიტის მოცულობას გამოკლებული საკრედიტო ბარათის დამზადების ღირებულება, საკრედიტო ბარათის წლიური მომსახურების საკომისიო და თანხის განაღდების საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
3.11. პირგასამტეხლო (ჯარიმა) ვადაგადაცილებაზე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე:	**კალენდარული ვადაგადაცილების მომენტისათვის ნარჩენი ძირი თანხის (ათვისებული ლიმიტის) 0.27%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე**
3.12. საშეღავათო პერიოდი:	25 დღიდან 55 დღემდე. საშეღავათო პერიოდი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელს ბარათის ლიმიტი სრულად ჰქონდა შევსებული დაანგარიშების თარიღისთვის ან მოახდინა ბარათის პირველადი გამოყენება;
3.13. საკრედიტო ბარათის განაღდების/სესხის გატანის საკომისიო:	მისოს სალაროში განაღდების საკომისიო 1 %; ბანკომატში განაღდების საკომისიო 2%; სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში უნაღდო ანგარიშსწორების საკომისიო 0%.
3.14. საკრედიტო ბარათის ღირებულება და გაცემის საკომისიო:	საკრედიტო ბარათის დამზადების ღირებულება: 10 ლარი; საკრედიტო ბარათის გაცემის საკომისიო: ლიმიტის 2%;
3.15. ყოველთვიური შენატანები (განისაზღვრება ათვისებული თანხისა და დაფარვის ვადების შესაბამისად)	
3.16. მსესხებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა ბანკომატიდან თანხის ათვისების შემთხვევაში:	
3.17. მსესხებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა სავაჭრო ობიექტიდან თანხის ათვისების შემთხვევაში:	

მუხლი 4. სესხის გაცემა

4.1. საკრედიტო ბარათის/სესხის გაცემა მოხდება წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე.

4.2. სესხის გაცემა მოხდება უნაღდო ანგარიშწორების გზით, სესხის თანხის საკრედიტო ბარათზე დარიცხვის (საკრედიტო ლიმიტის გააქტიურების) გზით. მსესხებლს წინამდებარე ხელშეკრულებასთან ერთად გადაეცემა საკრედიტო ბარათი, მისი მიღება-ჩაბარების აქტი და ბარათის უსაფრთხოების წესები.

მუხლი 5. საკრედიტო ბარათის/სესხის დაფარვის პირობები

5.1. მსესხებელი ვალდებულია ყოველთვიურად გადაიხადოს მინიმალური შენატანი, რაც შედგება ათვისებული საკრედიტო ლიმიტის/სესხის თანხის 5%-სა და ათვისებულ საკრედიტო ლიმიტზე/სესხის თანხაზე დარიცხული პროცენტისაგან. ათვისებულ საკრედიტო ლიმიტზე/სესხის თანხაზე მიმდინარე თვის საპროცენტო სარგებლის დაანგარიშება და დარიცხვა მოხდება გამოყენებული დღეების მიხედვით. თუ თვის ბოლო დღისათვის ათვისებული საკრედიტო ლიმიტი სრულად შევსებულია (დაბრუნებულია) მსესხებელს პროცენტი არ ერიცხება და იგი არ იხდის მინიმალურ შენატანს.

5.2. მსესხებელი უფლებამოსილია ისევ გამოიყენოს და აითვისოს მის მიერ ყოველთვიური შენატანების სახით შევსებული საკრედიტო ლიმიტი/დაბრუნებული სესხის ძირითადი თანხა.

5.3. ყოველი კალენდარული თვის ბოლო დღეს მოხდება გადასახდელი თანხის დაანგარიშება და ძირითადი თანხის დაბილინგება. მსესხებელი ვალდებულია დაანგარიშებული მინიმალური შენატანი გადაიხადოს მომდევნო თვის 5

რიცხვიდან 25 რიცხვის ჩათვლით. მსესხებელს, მის მიერ მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე, ეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინება (SMS), სადაც მითითებული იქნება დარიცხული საპროცენტო სარგებელის ოდენობა, სესხის ძირის შესამცირებლად აუცილებელი მინიმალური შენატანის ოდენობა, ათვისებული ლიმიტის ოდენობა და გადახდის ბოლო ვადა. შეტყობინებაში მითითებული ინფორმაციის მიღება მსესხებელს ასევე შეუძლია მისოს სერვის ცენტრში, გადახდის აპარატის, ან მისოს ინტერნეტბანკის მეშვეობით.

5.4. იმ შემთხვევაში, თუ თვის 25 რიცხვი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მინიმალური შენატანის დაფარვის ბოლო ვადაა მომდევნო სამუშაო დღე.

5.5. პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე დაირიცხება იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი დააგვიანებს და არ გადაიხდის მინიმალურ შენატანს 5.3. პუნქტში მითითებულ ვადაში ან/და საკრედიტო ლიმიტის/სესხის ვადის დასრულების შემდეგ არ დააბრუნებს ათვისებულ თანხას/მიღებულ სესხს. პირგასამტეხლო დაირიცხება (დაანგარიშდება) კალენდარული თვის ბოლო დღის მდგომარეობით ნარჩენი ძირი თანხის (ათვისებული ლიმიტის) 0.27%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება, სანამ მსესხებლის მიერ არ შესრულდება ვალდებულება. პირგასამტეხლოს დარიცხვის მაქსიმალური ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს თანმიმდევრობით 180 დღეს.

5.6. მისო უფლებამოსილია არ განახორციელოს ან შეწყვიტოს ვადაგადაცილებულ თანხაზე (თანხებზე) პირგასამტეხლოს დარიცხვა, რის შესახებაც გადაწყვეტილებას მისო იღებს ცალმხრივად.

5.7. მხარეები თანხმდებიან, რომ მსესხებლის გადახდილი თანხით პირველ რიგში იფარება დარიცხული პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული პროცენტი (სარგებელი) და ბოლოს კრედიტის ძირითადი თანხა; ვადაგადაცილების გამო საკრედიტო ხელშეკრულების მოშლის პირობების დადგომისას სარგებლის დარიცხვა შეიძლება განხორციელდეს არაუმეტეს თანმიმდევრულად 180 დღისა.

5.8. სესხის დაფარვის მიზნით მსესხებლის მიერ გადასახდელი თანხების გადახდა შესაძლებელია როგორც მისოს სერვის ცენტრის სალაროში, ასევე სწრაფი გადახდის აპარატებში თანხის შეტანის გზით. სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით თანხის გადახდისას კლიენტმა (გადამხდელმა პირმა) უნდა მიუთითოს კლიენტის უნიკალური ნომერი N ----. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელს მისოს წინაშე გააჩნია სხვა ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობს სხვა სესხის (საკრედიტო) ხელშეკრულებებიდან და წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სესხი იმყოფება ვადაგადაცილებაში ან/და დამდგარია გრაფიკით გათვალისწინებული გადახდის თარიღი, მსესხებლის მიერ მისოსათვის გადახდილი ნებისმიერი თანხიდან, პირველ რიგში, იფარება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში არსებული ვალდებულება (დავალიანება).

5.9. ერთდროულად ერთზე მეტი ვალდებულების არსებობისას, ვალდებულებათა დაფარვის პრიორიტეტულობას (რიგითობას) ირჩევს მსესხებელი, როგორც დისტანციური არხებით გადახდისას, ასევე, მისოს სერვის ცენტრის სალაროში თანხის შეტანისას. იმ შემთხვევაში, თუ თანხის გადახდისას მსესხებელმა არ განახორციელა ვალდებულებების დაფარვის რიგითობის არჩევა, ვალდებულების დაფარვის რიგითობა განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 6. საკრედიტო ლიმიტის/სესხის წინასწარ სრული დაფარვა

6.1. საკრედიტო ლიმიტის/სესხის თანხის ვადაზე ადრე, წინასწარ სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის საკომისიო შეადგენს 0%-ს.

მუხლი 7. მსესხებლის განცხადებები და გარანტიები

7.1. მსესხებელი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

7.1.1. წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღეს მისი საცხოვრებელი ადგილი და კოორდინატებია ხელშეკრულებაში მითითებული მისამართი, ხოლო მათი შეცვლის შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობებს კრედიტორს;

7.1.2. აქვს წინამდებარე ხელშეკრულების დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილება და შესაძლებლობები;

7.1.3. არ მონაწილეობს არცერთ ისეთ სასამართლო პროცესში (მოსარჩელის, მოპასუხის ან მესამე პირის სახით), რითაც შეიძლება საფრთხე შეექმნას მსესხებლის მიერ მისოს წინაშე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი საკრედიტო ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.

7.2. სს მიკროსაფინანსო ორგანზიაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ შეაგროვებს/დაამუშავებს მსესხებლის (ან/და მესაკუთრის) შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

7.3. მსესხებლის (ან/და მესაკუთრის) თანხმობა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან პერსონალური მონაცემების გამოთხოვის თაობაზე:

„თანხმობას ვაცხადებ, რომ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალმა“, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაკრედიტებისა და სესხის მომსახურების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიიღოს, ორგანიზაციისათვის აუცილებელი, ჩემი პერსონალური მონაცემები.“

მსესხებლის (ან/და მესაკუთრის) მინდობილი პირის თანხმობა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან პერსონალური მონაცემების გამოთხოვის თაობაზე:

„თანხმობას ვაცხადებ, რომ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალმა“, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაკრედიტებისა და სესხის მომსახურების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიიღოს, ორგანიზაციისათვის აუცილებელი, ჩემი ან/და ჩემი მარწმუნებლის პერსონალური მონაცემები“.

7.4. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, მსესხებელი (ან/და მესაკუთრე) ადასტურებს, რომ არ მონაწილეობს (პირდაპირ ან არაპირდაპირ) რაიმე უკანონო საქმიანობაში (მათ შორის, ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ნარკოტიკებით ვაჭრობაში, ტრეფიკინგში ან/და ტერორიზმში), რომელიც ეწინააღმდეგება ნებისმიერი იურისდიქციის კანონმდებლობას (მათ შორის, მსესხებლის რეზიდენტი ქვეყნის იურისდიქციის კანონმდებლობას) და არ იყნებს თავის საქმიანობაში იძულებით შრომას, მათ შორის არასრულწლოვანთა ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შრომას, მათი თანხმობის ან/და შესაბამისი ნებართვის გარეშე.

მუხლი 8. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

8.1. მსესხებელი ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8.2. მისო უფლებამოსილია განახორციელოს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსთხოვოს ინფორმაცია მსესხებელს, რომელიც ვალდებულია წარუდგინოს მისოს შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტები.

8.3. დასაშვებია ხელშეკრულების პირობების ცვლილება გამსესხებლის მიერ ცალმხრივად გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის (ასევე არსებობის შემთხვევაში თავდებისათვის ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრისათვის) მინიმუმ 2 თვით ადრე წინასწარი შეტყობინების გზით, რომელიც უნდა განხორციელდეს მსესხებლისათვის უფასოდ, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის ან/და ამავე ხელშეკრულებაში მითითებულ ელ.ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნის გზით. მსესხებელი უფლებამოსილია შეტყობინების მიღებიდან ორი თვის ვადაში სრულად დაფაროს სესხი (ძირითადი თანხა, დარიცხული პროცენტი და პირგასამტეხლო), რა შემთხვევაშიც მას არ დაერიცხება სესხის წინსწრებით დაფარვის საკომისიო. თუ მსესხებელი არ გამოიყენებს აღნიშნულ უფლებამოსილებას, ამ პუნქტის შესაბამისად შეცვლილი პირობები ამოქმედდება მსესხებლისათვის ზემოაღნიშნული შეტყობინების გაგზავნიდან ორი თვის გასვლის შემდგომ.

8.4. ცალმხრივი ცვლილება არ შეიძლება შეეხოს პროდუქტის ვალუტას, არ შეიძლება იყოს განპირობებული მისოს მიერ მსესხებლის გადახდისუნარიანობის არასწორი შეფასებით (როდესაც აღნიშნულის მიზეზი არ არის მსესხებლის მიერ განზრახ არასწორი და არასრული მონაცემების მიწოდება) და ასევე არ უნდა იყოს გამოწვეული ინფლაციის ზრდით, ეკონომიკური ვარდნით და/ან საბაზრო საპროცენტო განაკვეთების 5 პროცენტულ პუნქტზე ნაკლები ცვლილებით.

8.5. თუ კრედიტზე (სესხზე), მათ შორის ორმხრივი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, იცვლება შენატანის ოდენობა, მისო ვალდებულია ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე (მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით) ან/და ამავე ხელშეკრულებაში მითითებულ ელ. ფოსტის მისამართზე, მსესხებელს (ხელშეკრულების ფარგლებში რამდენიმე მსესხებლის/თანამსესხებლის არსებობის შემთხვევაში – ყველა მათგანს) ასევე, თავდებს და/ან სოლიდარულ თავდებს და/ან იპოთეკის/გირავნობის საგნის მესაკუთრეს (არსებობის შემთხვევაში) შეატყობინოს შენატანის შეცვლილი ოდენობისა და შეცვლილი პირობების შესახებ დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ცვლილებამდე ხუთი სამუშაო დღით ადრე. ასევე, მსესხებლის (რამდენიმე მსესხებლის არსებობის შემთხვევაში ყოველი მათგანის) მიერ ცვლილების განხორციელების მომენტში შეცვლილ პირობებზე დათანხმების შემთხვევაში, თავდებს და/ან სოლიდარულ თავდებს და/ან იპოთეკის/გირავნობის საგნის მესაკუთრეს (არსებობის შემთხვევაში) შეატყობინოს შენატანის შეცვლილი ოდენობისა და შეცვლილი პირობების შესახებ ცვლილების შემდეგ არაუგვიანეს ხუთ სამუშაო დღეში. მისო არ აგებს პასუხს ამ ვალდებულების დარღვევისათვის, თუ დაკავშირება/ ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება ადრესატის ბრალეულობით და/ან ადრესატმა შეიცვალა საკონტაქტო ინფორმაცია და ამის შესახებ არ უცნობებია მისოსათვის.

8.6. მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მთითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

8.7. წინამდებარე ხელშეკრულების 8.6. პუქნტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების მიზნით, მსესხებელი უფლებამოსილია მისოს ნებისმიერ სერვის ცენტრში, ადგილზე განცხადების დაწერის გზით, უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე.

8.8. განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, მსესხებელი ვალდებულია მისოს დაუბრუნოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხა, კრედიტზე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი და გირავნობის რეგისტრაციის საფასური, თუ აღნიშნული საფასურის გადახდა განხორციელდა მისოს მიერ. კრედიტზე პროცენტის დარიცხვა მოხდება მსესხებლის მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებამდე ფაქტობრივად გასული დღეების შესაბამისად.

8.9. მსესხებელს, ამ ხელშეკრულების 8.8. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, არ ეკისრება 5.5. პუნქტის შესაბამისად დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა.

8.10. მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 8.8. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დადგენილ ვადაში სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულება არ მოიშლება და პროცენტის და პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება 5.5. პუნქტის და თანდართული გრაფიკის შესაბამისად.

მუხლი 9. ადგილსამყოფელისა და ფინანსურ და ქონებრივ მდგომარეობაში მოსალოდნელი არსებითი ცვლილებეის შესახებ

9.1. მსესხებელი ვალდებულია წინასწარ აცნობოს მისოს:

9.1.1. ადგილსამყოფელის შეცვლის, ახალი საკონტაქტო ინფორმაციის და ცვლილების თარიღის შესახებ;

9.1.2. ფინანსურ და/ან ქონებრივ მდგომარეობაში მოსალოდნელი არსებითი ცვლილებების და ასევე იმ გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შეიძლება განაპირობონ ასეთი ცვლილებები.

მუხლი 10. ხელშეკრულების დარღვევა და მისოს მიერ იძულებითი ზომების გამოყენება

10.1. მსესხებელი ადასტურებს და თანხმობას იძლევა, რომ მის მიერ სესხის/ საკრედიტო ბარათის დაფარვის ვადებისა და წესების ან ხელშეკრულების სხვა ნებისმიერი ვალდებულების დარღვევა, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას სესხის დაბრუნებას, განიხილება, როგორც მსესხებლის მიერ მთლიანად ხელშეკრულების შესრულებაზე უარის თქმა. ასეთ შემთხვევაში მისო უფლებამოსილია მსესხებლისათვის ყოველგვარი დამატებითი შეტყობინებისა და თანხმობის გარეშე განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

10.1.1. ვადაგადაცილების პირველივე დღიდან დაბლოკოს საკრედიტო ბარათი, რის შედეგადაც მსესხებელი ვეღარ შეძლებს ბარათის გამოყენებით დამატებითი ლიმიტის ათვისებას;

10.1.2. 30 დღემდე ვადაგადაცილების დაფარვის შემთხვევაში, საკრედიტო ბარათზე ბლოკის მოხსნა და საკრედიტო ლიმიტზე წვდომის აღდგენა;

10.1.3. 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების შემთხვევაში, არ მოხსნას ბლოკი საკრედიტო ბარათზე და გააუქმოს მსესხებლის საკრედიტო ლიმიტი.

მუხლი 11. მოთხოვნის მესამე პირისათვის გადაცემა

11.1. მისო უფლებამოსილია, მსესხებლის თანხმობისა და მისთვის დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი უფლებები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს (მოთხოვნის უფლების დათმობა).

მუხლი 12. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

12.1. ხელშეკრულება შეწყდება საკრედიტო ლიმიტის ვადის გასვლისთანავე.

12.2. თუ ვადის გასვლის მომენტისათვის მსესხებელს არ აქვს სრულად შესრულებული ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მაშინ მისოს უფლება აქვს მოითხოვოს დარჩენილი ათვისებული საკრედიტო ლიმიტის/სესხის დაბრუნება დარიცხულ სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად.

მუხლი 13. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის პირობები, პროცედურები და შედეგები

13.1. ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

13.1.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

13.1.2. მსესხებლის საკრედიტო ლიმიტის ვადამდე დაფარვა/გაუქმების შემთხვევაში;

13.1.3. თუ მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა ან არსებობს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების რეალური საფრთხე;

13.1.4. 10.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მისო მსესხებელს უგზავნის შეტყობინებას/გაფრთხილებას, რომლითაც განუსაზღვრავს დარღვეული მიმდინარე ვალდებულების შესრულების 14 დღიან ვადას.

13.1.5. მიმდინარე ვალდებულებების შესრულებისათვის დანიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში მისო უფლებამოსილია შესაბამისი შეტყობინების გაგზავნით შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოითხოვოს მსესხებლისაგან სესხის სრულად გადახდა ძირითადი თანხის ან/და სესხის დარჩენილი ძირითადი თანხის, საკომისიოს, დარიცხული პროცენტების და პირგასამტეხლოს ჩათვლით, სესხის სრულად დაფარვამდე ან/და აღსრულებამდე. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მისო განახორციელებს სამართლებრივ და აღსრულების პროცედურებს;

13.1.6. ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მისო უფლებამოსილია მოითხოვოს ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით ან/და გირავნობით დატვირთული ქონების გადმოცემა ან/და რეალიზაცია და პირველ რიგში დაიკმაყოფილოს მოთხოვნა. იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის რეალიზაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი ეკისრება კლიენტს . მისო უფლებამოსილია, აღსასრულებლად (სარეალიზაციოდ) მიაქციოს იპოთეკით/გირავნობით დატვირთული ყველა ქონება, მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება ყველა თავდებს ან/და აღსასრულებლად მიაქციოს ნებისმიერი სხვა უზრუნველყოფის საშუალება (ხელშეკრულება). აღნიშნული არ გამორიცხავს და მისო უფლებამოსილია, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში თავისი შეხედულებით აირჩიოს - იპოთეკით ან/და გირავნობით დატვირთულ რომელ ქონებას მიაქცევს სარეალიზაციოდ, რომელ თავდებს მოსთხოვს ვალდებულების სოლიდარულად შესრულებას ან/და რომელ ნებისმიერ სხვა უზრუნველყოფის საშუალებას (ხელშეკრულებას) მიაქცევს აღსასრულებლად.

მუხლი 14. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

14.1. თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს მისი ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანი.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადები და პირობები

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეებს შორის წარმოშობილი უფლება-მოვალეობების სრულ ამოწურვამდე.

მუხლი 16. დავები

16.1. ნებისმიერი დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ანდა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობასა და შეწყვეტის შესახებ განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, უნდა გადაეცეს მუქმივმოქმედ არბიტრაჟს „დავების განმხილველ ცენტრს“ DRC-ს, რომლის სარეგისტრაციო კოდია 204547348; მის. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71,სართ2, ოფისი 11. ვებ.გვერდი: WWW.DRC.GE. ამასთან, მხარეთა შეთანხმებით, არბიტრაჟი დავას განიხილავს ზეპირი მოქმენის გარეშე, მიუხედავად სასარჩელო მოთხოვნის (დავის საგნის) ღირებულებისა.

მხარეები ასევე ვთანხმდებით, რომ მხარეებს შორის, ასევე საარბიტრაჟო დაწესებულებას დავების განმხილველი ცენტრს ს/კ 204547348 შორის კომუნიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფორმით. ამ შემთხვევაში შეტყობინება განხორციელებულად ჩაითვლება, თუ იგი მხარეს ჩაბარდა ელ.ფოსტის მეშვეობით. მხარეები თანხმობას აცხადებენ, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ელ.ფოსტის მისამართზე ელ.ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება მათთვის ჩაბარებულად ითვლება და აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზია არ ექნებათ.

მუხლი 17. დასკვნითი დებულებები

17.1. ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია წინამდებარე ხელშეკრულების ფორმის დაცვით.

17.2. მხარეებმა ნებისმიერი შეტყობინება უნდა განახორციელონ ისეთი ფორმით, რომელიც იძლევა კონტრაგენტის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების შესაძლებლობას.

17.3. შეტყობინება ითვლება სათანადოდ გაგზავნილად, თუ იგი გაგზავნილია ერთ-ერთი ჩამოთვლილი საშუალებით: დაზღვეული (საფოსტო) წერილით, კურიერის, მოკლე ტექსტური შეტყობინების, სოციალური ქსელების ან ელ.ფოსტის მეშვეობით ამ ხელშეკრულებაში მითითებულ საკონტაქტო მისამართებზე (მობილური, ელ. ფოსტა), ან მისოს მიერ ჩაბარებულია ხელზე უშუალოდ მსესხებლისათვის ან/და საკონტაქტო პირისთვის ან/და ოჯახის წევრისთვის. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას.

17.4. მხარეები ვალდებულნი არიან აცნობონ ერთმანეთს საკონტაქტო ინფორმაციის შეცვლის შესახებ, ასეთი ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის შემთხვევაში შეტყობინება მიღებულად ითვლება მხარისათვის ცნობილ უკანასკნელ საკონტაქტო მისამართზე შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაშიც.

17.5. წინამდებარე ხელშეკრულება ჩაითვლება ბათილად, თუ ხელშეკრულება დადებულია არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ და ეს გარემოება მისოსთვის ცნობილი გახდა ხელშეკრულების დადების შემდეგ.

17.6. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები ვრცელდება მხარეთა შესაბამის მემკვიდრეებზე და უფლებამონაცვლეებზე, მაგრამ მსესხებელს უფლება არ აქვს მისოს წერილობითი თანხმობის გარეშე გადასცეს ან დაუთმოს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება.

17.7. წინამდებარე ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ასეთი უფლების უარყოფას.

17.8. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას.

17.9. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

17.10. მხარეთა შეთანხმებით წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია მისოს იურიდიული მისამართი.

17.11. მსესხებლის იურიდიულ ან მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ფაქტობრივ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მისამართზე გაგზავნილი წერილები და შეტყობინებები ითვლება მის მიერ მიღებულად მიუხედავად იმისა, მისი რეალური ადგილსამყოფელი ემთხვევა თუ არა წერილის ან შეტყობინების გაგზავნის დღეს მისოსთვის ცნობილ მის მისამართს – თუ ახალი მისამართისა და იქ გადასვლის თარიღის შესახებ მსესხებელი წინასწარ, წერილობით არ აცნობებს მისოს.

17.12. თუკი არ ხერხდება მსესხებლის იურიდიულ ან სხვა მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების ჩაბარება, მისო უფლებამოსილია შეტყობინება განახორციელოს სატელეფონო კავშირის მეშვეობით, რაზედაც მისოს შესაბამისი თანამშრომელი ადგენს წერილობით დოკუმენტს, სადაც მიეთითება სატელეფონო კავშირის ზუსტი დრო, გამოყენებული კავშირის საშუალება, ტელეფონის ნომრები და გადაცემული შეტყობინების შინაარსი. ასეთი ფორმით განხორციელებული სატელეფონო შეტყობინება წარმოადგენს მსესხებელთან კომუნიკაციის ოფიციალურ ფორმას, რომელიც წარმოშობს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რაც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულების სხვა პუნქტებით.

17.13. მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ ნებისმიერ სერვის ცენტრში, როგორც ზეპირი, ასევე თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით ვებ-გვერდზე http://www.mbc.com.ge/ და ელ.ფოსტაზე complaint@mbc.com.ge. პრეტენზიის განხილვასთან დაკავშირებით და შესაბამისი პროცედურების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია სატელეფონო კონტაქტის მეშვეობით ნომერზე 2505002, ან უშუალოდ მისოს შესაბამის სერვის ცენტრში. მომხმარებლისგან მიღებულ პრეტენზიაზე პასუხის გაცემის მაქსიმალური ვადაა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

17.14. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალში“ ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში, თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.

მსესხებელი _____
(სახელი და გვარი სრულად და გარკვევით)

გამსესხებელი _____
(სახელი და გვარი სრულად და გარკვევით)